პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977
შაბათი
12
მარტი
№ 59 (16796)
ფასი 2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## გაზაფხული სოფლად

გაზაფხულია! ბუნებამ გამოიღვიძა და ადამიანსაც ათასი საზრუნავი გაუჩინა. წლეულს ნაადრევად გვესტუმრა გაზაფხული. თებერვლის უმეტესი დღეები თბილოდა, მარტის დამდეგს კი უკვე შუა გაზაფხულივით ამინდი იდგა. გაზაფხულმა ველ-მინდვრები აამწვანა და ნათლად გამოჩნდა შემოდგომაზე ვინ როგორ იშრომა — როგორ მოხნა და დათესა. საგაზაფხულო თესვა კი შეუფერხებლად იქ მიმდინარეობს, სადაც ზამთარში კარგად მოემზადნენ, მოიმარაგეს მაღალკონდიციური თესლი და სასუქები, შეაკეთეს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, წინასწარ, აგროწესების ზუსტად დაცვით დასათესად გაამზადეს მიწა. ბაღ-ვენახებისა და ჩაის პლანტაციების მშრომელნიც კარგად იყენებდნენ ზამთრის თბილ დღეებს.

დათბა თუ არა, მხვნელ-მთესველები, მებაღე-მევენახეები, მეჩაიეები მინდვრად გავიდნენ, რომ საქმე წინ წაეწიათ. გაზაფხულის დადგომისთანავე კი ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სახელოვანი ისტორიული თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოს კპ ცკ-ის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ცენტრალური კომიტეტის სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში დამთავრდეს, ყველა სახის სამუშაო მაღალხარისხოვნად შესრულდეს. ამისათვის საჭიროა სასოფლო რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას და დარაზმონ სოფლის მშრომელები საგაზაფხულო სამუშაოების თავის დროზე შესასრულებლად, უხვი მოსავლისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად. შეჯიბრების ავანგარდში კი, როგორც ყოველთვის, კომუნისტები და კომკავშირელები უნდა იყვნენ.

საბჭოთა საქართველო სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა, დაჯილდოებულთა შორის არიან აგრეთვე აჭარის ასსრ, აბაშის, გორისა და ზუგდიდის რაიონები. ეს საპატიო ჯილდო საქართველოს სოფლის ყველა მშრომელს დიდი ამოცანების წინაშე აყენებს. ახლა, სწორედ ამ გაზაფხულზე უნდა გადაწყდეს — შევძლებთ თუ არა იმ დიდი ვალდებულებების შესრულებას, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად იკისრეს საქართველოს სოფლის მშრომელებმა. წლეულს უნდა ვაწარმოოთ: 360.000 ტონა ჩაის ფოთოლი, 630.000 ტონა ყურძენი, 492.000 ტონა ხილი, 510.000 ტონა ბოსტნეული და სხვ. პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე, რომლებიც საკავშირო ჯილდოების გადაცემას ეძღვნება, საქართველოს სოფლის მშრომელები ერთხმად აცხადებენ: — ვალდებულებას შევასრულებთ, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება!

სიტყვას საქმე რომ უთუოდ მოჰყვება, ამის თავდებია ის მორალური განწყობილება, რომელიც ახლა სუფევს მთელს რესპუბლიკაში.

მრავალი წლის გამოცდილებით დადგენილია, რომ პურეულის უხვი მოსავალი ხნულისა და თესლის მომზადებით იწყება. კარგად უთქვამთ წინაპრებს: რასაც დათესავ, იმას მოიმკი. საგაზაფხულო კულტურების თესლეული, წინა წლებთან შედარებით, რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კარგად მოამზადეს. მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლეული, ნაცვლად 174.318 ცენტნერისა, გამოყოფილია 209.600 ცენტნერი. გამოყოფილი თესლეულიდან 208.000 ცენტნერი კონდიციურია. აქედან 90 პროცენტი პირველი და მეორე კლასისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა უმეტესობა უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით. ახლა მთავარია როგორ დავთესავთ ამ თესლს. სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული ორგანოების საპატიო ვალია ქმედითი, ყოველდღიური კონტროლი დაუწესონ საგაზაფხულო თესვის აგროწესების დაცვას.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ბევრ საბჭოთა მეურნეობას უნდა შევახსენოთ, რომ მათ საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლეული გამოყოფილი აქვთ, მაგრამ დაუდევრობის გამო თესლის ნაწილი დაბალი ხარისხისაა — მესამე კლასისაა. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს 1.589 ცენტნერი უკონდიციო თესლი აქვთ, ხოლო 20.580 ცენტნერი, ანუ გამოყოფილი თესლის 9,8 პროცენტი დაბალი ხარისხისაა — მესამე კლასისაა. დაბალხარისხოვანი თესლიდან რომ უხვ მოსავალს ვერ მიიღებენ, ეს ცხადია, ამიტომ თესვის წინ სწრაფი გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განახორციელონ, რომ ხნულს მხოლოდ კონდიციური თესლი მიაბარონ. ასეთი ღონისძიებების განხორციელება, უპირველესად დასჭირდებათ ბორჯომის, მარნეულის, კასპის, თეთრი წყაროს, წალკის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებს.

სიმინდი გაზაფხულზე მოგვიანებით ითესება. მისი თესლი რესპუბლიკაში საკმაოზე მეტია გამოყოფილი. მაგრამ კონდიციური თესლი საკმაო რაოდენობით არ მოუმარაგებიათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურის, ქარელის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს. სიმინდის თესვის დაწყებამდე ეს ხარვეზები უთუოდ უნდა გამოსწორდეს.

საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა მექანიზატორებს ეკუთვნით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე მთავარი ფიგურა მექანიზატორია. ხვნა, თესვა, ჩაის პლანტაციების თუ ბაღ-ვენახების დამუშავება დღეს უმექანიზატოროდ ყოვლად შეუძლებელია. მექანიზატორთა გამჭრიახობაზე, ორგანიზებულობაზეა დამოკიდებული საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება. უპირველესად კი ტექნიკის მზადყოფნაა გადამწყვეტი.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი ბევრ რაიონში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამაში დიდი როლი შეასრულა ყვარლისა და ზუგდიდის რაიონების მექანიზატორთა თაოსნობით გაჩაღებულმა შეჯიბრებამ. ახლა რესპუბლიკაში არსებული ტრაქტორების 92 პროცენტი გამართულია, გუთნებისა — 94 პროცენტი, სათესებისა — 92 პროცენტი, კულტივატორებისა — 93 პროცენტი. წინა წლებთან შედარებით ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. ახლა მთავარია ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ღონისძიება იხმარონ იმისათვის, რომ ყველა მანქანა მთელი დატვირთვით მუშაობდეს, ხოლო დაზიანების შემთხვევაში ადგილზე დაუყოვნებლივ შეკეთდეს. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება საგაზაფხულო თესვისა და სხვა სამუშაოების აგროვადებში დამთავრება.

საგაზაფხულო თესვა ბევრ რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. ამ საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ გარდაბნის, საგარეჯოს, ბოლნისის, მარნეულის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, გორის რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები. გარდაბნის რაიონში 9 მარტისათვის დათესილი იყო 5.284 ჰექტარი, ბოლნისის რაიონში — 2.699 ჰექტარი, საგარეჯოს რაიონში — 2.417 ჰექტარი, მარნეულის რაიონში — 2.275 ჰექტარი, წითელწყაროს რაიონში — 2.171 ჰექტარი. სულ რესპუბლიკაში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 30.548 ჰექტარი. თესვის ტემპი ნელია თელავის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში, სადაც საგაზაფხულო კულტურები შესაბამისად დათესილია 97 ჰექტარი, 133 და 186 ჰექტარი. ახლა მთავარია გადაჭრით გავაძლიეროთ თესვის ტემპი, მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ყოველი დღე, საათი.

მემინდვრეობის რაიონებთან ერთად რესპუბლიკის მეჩაიეობის, მევენახეობისა და მეხილეობის რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების, აქტივის, ყველა კომუნისტის გადაუდებელი ამოცანაა აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საგაზაფხულო სამუშაოები ბაღ-ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წელი, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი ახალ-ახალი გამარჯვებებით დაამთავრონ, მოიწიონ უხვი მოსავალი და სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

## 60 ღირსეული შეხვედრა — დიად იუბილეს!

16 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

### ყველაზე ნაყოფიერი დღე

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დამკვრელური შრომით აღვნიშნოთ შაბათობის დღე — ამ დევიზით გამოეხმაურა დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას სართავ-სატრიკოტაჟო გაერთიანების კოლექტივი.

— შაბათობისათვის ჩვენი კოლექტივების მზადებას ენთუზიაზმი შემატა სამკერვალო საამქროს ნ. კომახიძის ბრიგადის მოწოდებამ, რომ ამ დღეს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით — თქვა ჩვენთან საუბარში პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. დეკანოსიძემ, — გაიშალა შეჯიბრება მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

იქმნება დამკვრელური ბრიგადები. 3.000-ზე მეტი მუშა გამოვა შაბათობაზე. აქედან 2.500 ძირითად სამუშაოს შეასრულებს. გამომუშავებული ხელფასი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

შაბათობის დღე ყველაზე ნაყოფიერი დღე იქნება — ასეთია მრთველთა, მეტრიკოტაჟეთა და მკერავთა გადაწყვეტილება.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად

### ენგურჰესის მშენებელთა დიდი ვალდებულებანი

ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა 1976 წლის გეგმის შესრულებაში და აღფრთოვანებულია იმით, რომ რესპუბლიკას ზედიზედ მეოთხედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, გადასინჯა 1977 წლის საიუბილეო წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და გადაწყვიტა თაღოვან კაშხალში გეგმის გადაჭარბებით ჩაასხას არა 20 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, როგორც ადრე ჰქონდა ნავარაუდევი, არამედ 50 ათასი. ამრიგად, კაშხალში წელს ჩასხმული ბეტონის საერთო მოცულობა 500 ათას კუბურ მეტრს შეადგენს.

მიმდინარე წლის კარგი სტარტის შემდეგ რესპუბლიკის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები დღითიდღე აჩქარებენ სამუშაოთა ტემპს. (საქინფორმი).

### დაწინაურდნენ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). სამი დღით გაუსწრო დროს თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა, რომელმაც იანვარ-თებერვალში გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა რძე და რძის პროდუქტები მიაწოდა მომხმარებელს და პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 150 ათასი მანეთით გადააჭარბა.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ რძის პროდუქტების საამქროს რძის ჩამომსხმელი და დიეტური პროდუქტების ბოთლების სარეცხი მანქანების ოპერატორები ზ. კვირიკაშვილი, ნ. ჯიქურიძე, არაჟნის საამქროს დამფასოებელი დ. კონიაშვილი, ხაჭო-ყველეულის საამქროს გამწყობ-მარეგულირებელი ა. წკრიალაშვილი, მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გიორგაძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს 125-130 პროცენტით ასრულებენ.

ეს რედაქციას აცნობა გაერთიანების დირექტორმა ვ. მაღლაკელიძემ.

ხუთწლედის ადამიანები



ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. ბუჩქების სხვლა, მწკრივთაშორისების კულტივაცია, მინერალური სასუქების შეტანა დასასრულს უახლოვდება.

შარშან საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 2.658 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 2.480 ტონის ნაცვლად.

თავდადებით შრომობენ კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის მეჩაიეები, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ქსენია ბიგვავა ხელმძღვანელობს. სურათებზე: ზემოთ — სოციალისტური შრომის გმირი ქსენია ბიგვავა თავისი ბრიგადის მეჩაიე ნორა ტურავასთან ერთად. ქვემოთ — მექანიზატორები სხლავენ ჩაის ბუჩქებს.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ეს დღეები სოფლად

### მინდვრად — მებოსტნეები

თერჯოლა. (საკ. კორ.). მეორე სამეურნეო წელი დაიწყო ყვახჭირის მერძევეობა-მებოსტნეობის ახლად შექმნილმა საბჭოთა მეურნეობამ. სპეციალიზაციის სიკეთემ შედეგი გამოიღო. შარშან რაიონში მიღებული 6.650 ტონა ბოსტნეულიდან 4.025 ტონა ყვახჭირელების წილად მოდის.

— პირველი გამარჯვება, — თქვა საუბარში მეურნეობის დირექტორმა კ. ვერულაშვილმა, — ბევრს გვავალებს. საიუბილეო წლისათვის 6.000 ტონა ბოსტნეულის მოყვანას ვითვალისწინებთ და პირობას აუცილებლად გავანაღდებთ.

მაქსიმალურად გამოიყენეს ზამთრის მშრალი ამინდები მექანიზატორებმა და მებოსტნეებმა. დარგულია 70 ჰექტარი კომბოსტო, 16 ჰექტარი ხახვი და 10 ჰექტარი ნიორი. საგაზაფხულო ბოსტნეულის დასარგავად მომზადებულია 140 ჰექტარი ნიადაგი.

11 მარტი

### „პრავდა“ [illegible]

„[illegible] საზრუნავი“ — ამ სათაურით გაზეთი ბეჭდავს მოწინავე წერილს, რომელიც სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებული და ეფექტიანი განხორციელების დიდმნიშვნელოვან საკითხებს შეეხება.

„ამ გაზაფხულზე მინდვრის სამუშაოების მოცულობა საგრძნობლად იზრდება. საქმე ის არის, რომ ზოგიერთ ოლქსა და რესპუბლიკაში ნაადრევი აცივების გამო შემოდგომაზე მზრალად დასახულზე ნაკლები ფართობები მოიხნა. ამიტომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაოების მოცულობის ზუსტი განსაზღვრა, მთელი რესურსების აღრიცხვა, ძალების კონცენტრაცია მთავარ უბნებზე, ტექნიკის ეფექტიანი ექსპლოატაცია. ამ ამოცანების გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებისთვისაც საგაზაფხულო თესვა მათი მებრძოლურობის და ბეჯითობის სერიოზული გამოცდაა. უნდა დავეხმაროთ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ადამიანების სწორად განლაგებაში, მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლაში უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, მინდვრის სამუშაოების სანიმუშო ხარისხისათვის“, — ნათქვამია მოწინავე წერილში.

60 წლის წინათ 1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს) რუსეთში მოხდა თებერვლის რევოლუცია. ეს იყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი წარმატებული სახალხო რევოლუცია. მის ისტორიულ მნიშვნელობაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საბოლოო გამარჯვებაში მკითხველებს ესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ლოგინოვი წერილში „ოქტომბრის პროლოგი“.

ციმბირში მებაღეობის განვითარების პრობლემებს ეძღვნება მწერალ ი. პანტიუხოვის საინტერესო წერილი „ციმბირის ნობათი“.

გაზეთი მკითხველებს ბევრ საინტერესო მასალას სთავაზობს აგრეთვე რუბრიკებით: „ბიოგრაფიის დასაწყისი“, „გატყობინებთ დაწვრილებით“, „ხელოვნების დღიური“, „ბუნების სიყვარულით“. და სხვ.

ПРАВДА

## გულითად ვითარებაში

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ვო ნგუენ ზიაპი, რომელიც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო დელეგაციას მეთაურობს, 11 მარტს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ვიეტნამის სამხედრო დელეგაციის წევრები და საბჭოთა მხედართმთავრები.

გულთბილ, გულითად ვითარებაში განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო ბევრი საკითხი. მათ დიდი კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხებისა და არმიების ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის განვითარების გამო.

იმავე დღეს დ. თ. უსტინოვმა სადილი გამართა სტუმრის პატივსაცემად. (საკდესი).

## თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

10-11 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელზეც განიხილეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე თავდაცვით-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ნ. ი. სავინკინმა.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს განხილულ საკითხებზე პარტიული მუშაობის გამოცდილება და განიხილეს მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ ამოცანების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია პარტიის XXV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ მის სიტყვაში.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. პ. კაპიტონოვმა.

## მაღალი ჯილდო, დიდი პასუხისმგებლობა

აბაშის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

რაიონის მშრომელებმა ჩინებული მაჩვენებლებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედი. მათ ნაყოფიერად იშრომეს მეათე ხუთწლედის პირველ წელსაც და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი.

განსაკუთრებული მიღწევები მოპოვებულია მარცვლეული კულტურების წარმოებაში. მიღებულია დაახლოებით 20 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი, საშუალოდ ჰექტარზე — 39,3 ცენტნერი. ასეთი მოსავალი არ ახსოვთ რაიონის ისტორიაში. ცალკეულმა მეურნეობებმა კიდევ უფრო გაზარდეს სიმინდის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა. მაგალითად, სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე მიღებულია 65 ცენტნერი სიმინდი. უხვი მოსავალი მოიწიეს ტყვირის სტალინის სახელობის, პირველი მაისის ლენინის სახელობის, სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა, ნაესაკაოსა და სუჯუნის საბჭოთა მეურნეობებმა.

თავი ისახელეს მებოსტნეებმა და ეთერზეთოვანი მეურნეობების მუშაკებმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.461 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული და 3.380 ტონა ბოსტნეული. მარტო ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მარნის აგროუბანმა მოიწია 1.209 ტონა ბოსტნეული, აქედან 1.000 ტონა კიტრი, გაცილებით მეტი, ვიდრე ამ ხუთიოდე წლის წინათ მთელ რაიონში იწევდნენ.

მეცხოველეობაში განხორციელდა სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, რამაც უკვე მოიტანა დადებითი შედეგები. საზოგადოებრივ მეურნეობებში წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. დიდი მოგებით დაამთავრა გასული წელი აბაშის სამეურნეოთაშორისო მეცხოველეობის გაერთიანებამ.

გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები რაიონის სამრეწველო საწარმოებმა, მათ შორის მექანიკურმა ქარხანამ, საშენ მასალათა ქარხანამ, სართავმა და ჩაის ფაბრიკებმა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამოშვებული ნაწარმის ხარისხი. ეს წარმატებანი მოპოვებულია თავდადებული შრომით, პარტიული ორგანიზაციების ზუსტი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის, ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფის, მშრომელთა აქტივობისა და ინიციატივის ზრდის მეოხებით.

აბაშელთა სახელოვანმა გამარჯვებამ ღირსეული შეფასება დაიმსახურა — რაიონმა ზედიზედ მეოთხეჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც 9 მარტს გაიმართა.

აქტივის კრება გახსნა აბაშის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ჭანტურიამ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გილაშვილს.

თავის გამოსვლაში ამხ. პ. გილაშვილმა ილაპარაკა რაიონის მშრომელთა წარმატებებზე კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც დასახეს სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ. მან აღნიშნა, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა არა მარტო მთლიანად აბაშის რაიონი, არამედ სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაც, რომლებიც დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით. ეს მოწმობს სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარმეტყველებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში აბაშის რაიონის მშრომელთა დიდი დამსახურების საყოველთაო-სახალხო აღიარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. გილაშვილმა მხურვალედ მიულოცა...

(დასასრული მე-2 გვ.).



სურათზე: აბაშის რაიონისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის დროს.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ქუთაისელთა სიხარული

ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ქუთაისი, 11 მარტი. (საქინფორმის სპეც. კორ.). გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე ნაირფრად მოირთო ქუთაისი და მისი მიდამოები. თეთრად, ვარდისფრად, მწვანედ გადაპენტილა რიონისპირა ქალაქი.

ამ გაზაფხულს ახალი ელფერი შემატა ქუთაისელთა დიდმა სიხარულმა — მათმა თავდადებულმა შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა: მეათე ხუთწლედის პირველ წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მათ მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

დროშის გადაცემას მიეძღვნა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება, რომელიც 10 მარტს გაიმართა ქუთაისის დრამატულ თეატრში.

კრება გახსნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ. მან თქვა, რომ ქუთაისელთა შრომითი წვლილის ესოდენ დიდი შეფასება მათ ავალებს იმუშაონ და იცხოვრონ ისე, რომ ყოველთვის კომუნისტური აღმშენებლობის ავანგარდში იყვნენ.

ახლა, როცა ჩვენ ყველანი სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის იუბილეს ზღურბლზე ვდგავართ, როცა ყველა ჩვენს მიღწევას ამ სახელოვან თარიღს ვუძღვნით, თქვა მან, ჩვენი ძველი ქალაქისათვის 60 საბჭოთა წელი საუკუნეებს გაუტოლდა.

ჩვენი ქალაქის, მისი მშრომელების ბედი, უნდა ითქვას, დიდი ოქტომბრის სახელოვანი შედეგების მატიანის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. დღეს, როცა ჩვენი თავდადებული შრომის ნაყოფს ვიმკით, აღვნიშნავთ, თუ როგორ იცვალა იერი ჩვენმა ქალაქმა, რაოდენ დიდი ძვრები მოხდა ცხოვრების ყველა სფეროში. ძველი ქუთაისი ახალ მშენებლობათა ხარაჩოებშია, ქალაქის მრავალრიცხოვან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები — საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან. თეატრები, ინსტიტუტები, მუზეუმები, სამხატვრო გალერეა და სხვა კულტურული დაწესებულებანი წარმართავენ ქუთაისელთა იდეურ და სულიერ ცხოვრებას.

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

აქტივის კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ წითელი დროშა გადასცა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულთბილად მიულოცა ქალაქის მშრომელებს, კომუნისტებს, ყველა ქუთაისელს, ახალი წარმატებანი უსურვა მათ მუშაობასა და ცხოვრებაში. შემთხვევითი არ არის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ქუთაისელებს უკვე მესამედ ენიჭებათ გარდამავალი წითელი დროშა, თქვა მან, ეს საპატიო ჯილდო მოწმობს ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკურ სიმწიფეს, რომელმაც შეძლო დაერაზმა ქალაქის მშრომელები პარტიის გეგმებისა და წინასწარდასახულობათა შესასრულებლად.

ამ დარბაზში შეკრებილ მუშათა კლასისა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა გულწრფელ სიხარულს იზიარებს დღეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი. ეს სავსებით გასაგებია — ქუთაისი ისტორიულად ქართული კულტურის, ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრი იყო. აქ მოქმედებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელსაც უშუალოდ ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. ქუთაისთან არის დაკავშირებული გამოჩენილ ბოლშევიკ ლენინელთა და პროფესიონალ რევოლუციონერთა სახელები. ქუთაისს ახსოვს აკაკისა და გალაკტიონის პოეზიის აღმაფრენა, ზაქარია ფალიაშვილის, ლადო მესხიშვილის, კოტე მარჯანიშვილისა და სხვების ნოვატორული ძიება.

(დასასრული მე-2 გვ.)

# მაღალი ჯილდო, დიდი პასუხისმგებლობა

(დასასრული)

ცა აბაშის რაიონის მშრომელებს მაღალი ჯილდო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მათ კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. აბაშელი მშრომელები შეძენილი გამოცდილების განზოგადების, თავიანთი საქმიანობის კრიტიკული შეფასებისა და სწორი ანალიზის საფუძველზე შექმნიან მტკიცე წანამძღვრებს შემდგომი უფრო თვალსაჩინო წარმატებებისათვის.

ამხ. გილაშვილმა დამსწრეთა ტაშის გრიალში რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მგელაძემ რაიონის მშრომელთა სახელით მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს აბაშელთა შრომითი წვლილის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. მან პარტიას, მთავრობას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას, აღუთქვა, რომ რაიონის თვითეული შრომითი კოლექტივი, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია კვლავაც განუხრელად განახორციელებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ნ. აბუსერიძე, კეთილარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. სურმავა, სოფელ პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ლასარეიშვილი, სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი ე. არველაძე, აბაშის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი გ. ქორიავა, აბაშის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი მ. ნამიჩეიშვილი, სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ბოკუჩავა.

რაიონის მშრომელებს მათი წარმატებების დამსახურებული აღიარება გულთბილად მიულოცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ.

აქტივის კრების მონაწილეებმა იკისრეს ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

ამხ. გილაშვილმა საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები გადასცა რაიონის მშრომელთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოვდნენ მეათე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

---

იმავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს გადასცა სამშობლოს საპატიო ჯილდო, გულთბილად მიულოცა კოლმეურნეებს მათი შრომის მაღალი შეფასება და უსურვა ახალი წარმატებანი სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

საპასუხო სიტყვაში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. თოფურიამ თქვა:

— ტყვირის კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს. ვახორციელებთ რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მეათე ხუთწლედის მეორე წლისათვის ვიკისრეთ ახალი, გადიდებული ვალდებულებანი და ახლა ავამოქმედეთ წარმოების ზრდის რეზერვები.

ჩვენ გადავწყვიტეთ 1977 წლის გეგმები და ვალდებულებანი ყველა მაჩვენებლის მიხედვით შევასრულოთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმის დღეებში. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი მადლობის გრძნობით იყო გამსჭვალული კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირის ვ. ხარებავას, ნოვატორი მესიმინდის, სოციალისტური შრომის გმირის მ. ძიძიგურის, კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნის რ. მიგინეიშვილის, მოწინავე მებოსტნის რ. დუნდუას გამოსვლები.

ტყვირის კოლმეურნეობის მშრომელებს მაღალი ჯილდო მხურვალედ მიულოცა ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ პარტბიუროს მდივანმა ნ. კაჭარავამ.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გ. მგელაძე.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საქინფორმი).

# ქუთაისელთა სიხარული

(დასასრული)

ჭეშმარიტად სიმბოლურია ის ფაქტი, რომ 1976 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკისა და მეორე ინდუსტრიული ცენტრის გამარჯვების სასიხარულო ამბავი ჩვენ შუა თებერვალში შევიტყვეთ, სწორედ მაშინ, როცა ხუთი წელი შესრულდა, რაც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

რესპუბლიკის მშრომელების, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის თავდადებული ბრძოლა გადამწყვეტი ძალა გახდა არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში და საშუალება მოგვცა დღეს ვიზეიმოთ ასეთი დიდი გამარჯვება.

ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებში თქვენი ქალაქის მშრომელთა დიდი წვლილიც არის. უკანასკნელი წლების მანძილზე ქუთაისის ყოველი საწარმო ასრულებს წლიურ გეგმებს ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. მეცხრე ხუთწლედში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა ორჯერ გადააჭარბა გათვალისწინებულ დონეს. და რაც უმთავრესია, ის მიღწეული იყო შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

პროგრესის ნათელი სურათი დაისახა მეათე ხუთწლედის პირველ წელსაც, როცა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 7 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება კი 5,7 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 2,9 პროცენტის ნაცვლად.

ამხ. სირაძემ დაწვრილებით გაანალიზა ცხოვრების ყველა სფეროში ქალაქის მშრომელთა მიღწევები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წარმატებანი ქუთაისელთა თავდადებული შრომის, იმ დაუცხრომელი ზრუნვისა და ყურადღების შედეგია, რომელსაც იჩენს ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობის, პარტიული და სამეურნეო მუშაობის ყველაზე თანამედროვე მეთოდების გამოყენების დიდი გამოცდილება შეიძინა.

ვ. მ. სირაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ქუთაისელი მშრომელები კვლავაც სახელოვანი ტრადიციების ერთგული იქნებიან და ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტურ მშენებლობაში, პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი თ. გენძეხაძე, ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ოშხერელი, პოეტი ქალი დ. ჭუმბურიძე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვალიშვილი, ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი რ. ქარცივაძე, № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშა ბ. გვალია, რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის მუშა ე. ქუთათელაძე და სხვები, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ იშრომებენ გაორკეცებული ენერგიით, განამტკიცებენ ჩვენი სოცალისტური სამშობლოს ძლიერებას.

ტაშის გრიალში აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი, რომელშიც აღუთქვეს, რომ ქუთაისელი მშრომელები გაამრავლებენ მიღწეულ წარმატებებს და სასახელო საქმეებით აღნიშნავენ საბჭოთა სახელმწიფოს 60 წლის იუბილეს დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქინფორმი).

# ჯილდოები გადაეცათ

### შრომითი მეტოქეობის გამარჯვებულთა ზეიმი

**ცხინვალი**, 10 მარტი. (საქინფორმის კორ.). დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგმა, რომელზეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები გადასცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 1976 წლის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული შედეგებისათვის, სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის, ხოლო ოლქის დედაქალაქ ცხინვალს — საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქების 1976 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. სანაკოევმა.

ტრიბუნაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი. მან ილაპარაკა დიდ დადებით გარდაქმნებზე რესპუბლიკაში, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. 1976 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით საქართველოს სს რესპუბლიკას ზედიზედ უკვე მეოთხეჯერ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს არის საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა კოლექტივის, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დიდი თავდადებული შრომის შედეგი.

ამ გამარჯვების მოპოვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმაც.

ამხ. გ. ვ. კოლბინმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ მიულოცა სამხრეთ ოსეთის მშრომელებს მაღალი ჯილდო და გამოთქვა რწმენა, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წელს, დიდი ოქტომბრის იუბილეს წელს ისინი სამშობლოს გაახარებენ ახალი შრომითი წარმატებებით.

ამხ. გ. ვ. კოლბინმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ავტონომიური ოლქის სოფლის მშრომელებს მიენიჭათ, საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ფ. სანაკოევს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს პ. მარდანოვსა და ავტონომიური ოლქის სხვა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს.

ამხ. გ. ვ. კოლბინმა აგრეთვე წარმოების მოწინავეთა ჯგუფს, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ქალაქ ცხინვალს მიენიჭა საქართველოს სსრ ქალაქების 1976 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ეს დროშა ჩაიბარა პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა უ. სანაკოევმა. (საქინფორმი).

---

**პარტიული ცხოვრება**

# შრომითი კოლექტივის სათავეში

### პარტიის რაიკომი და სამეურნეო კადრები

**ჩვენი** დღევანდელი ცხოვრების რიტმი, უდიდესი მასშტაბის გეგმები, რომლებიც პარტიამ დასახა, დღის წესრიგში აყენებს ყოველმხრივ მომზადებული, ეკონომიკურად და ტექნიკურად განათლებული კადრების შერჩევის პრობლემებს. მათს პოლიტიკურ და საქმიან თვისებებზე, ორგანიზატორულ ნიჭზე, იდეურ-პოლიტიკურ წრთობაზე, ცოდნასა და კომპეტენტურობაზე, ადამიანებთან მუშაობის უნარზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

პარტია ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა და აქცევს კადრებთან, მათ შორის საშუალო რგოლის კადრებთან მუშაობას.

...„თანამედროვე ხელმძღვანელის პიროვნებაში, — აღნიშნავდა სკკპ XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — ორგანულად უნდა იყოს შერწყმული პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინა და საქმისადმი ინიციატივიანი, შემოქმედებითი მიდგომა. ამავე დროს ყოველ უბანზე ხელმძღვანელი მოვალეა გაითვალისწინოს სოციალურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი ასპექტებიც, იყოს გულისხმიერი ადამიანებისადმი, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებისადმი, მაგალითს იძლეოდეს მუშაობასა და ყოფა-ცხოვრებაში“.

ამას რომ ითვალისწინებენ, პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ ხელმძღვანელ და საშუალო რგოლის კადრებთან მუშაობას, მათს სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების თვისებრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე. უპირველესად, ყურადღება მიექცა ძველი და ახალგაზრდა კადრების შეხამებას.

მახარაძელმა მშრომელებმა დიდი წარმატებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედი — გადაჭარბებით შეასრულეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები ყველა სახეობაში. ნაყოფიერი შრომით აღეს აგრეთვე მეათე ხუთწლედის პირველი წლის მაღალი ზღუდეებიც. განსაკუთრებულად ისახელეს თავი მეჩაიეებმა, მოიწიეს სარეკორდო მოსავალი — 61.360 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს მიჰყიდა აგრეთვე 14.600 ტონა ციტრუსი და დიდძალი სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტი.

შრომა კარგად აწყვეს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. მათ პროდუქციის გამოშვების გეგმა — 106, ხოლო რეალიზაციისა — 105 პროცენტით გაანაღდეს.

ეს წარმატებები თავისით როდი მოვიდა. იგი მოჰყვა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებას, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის გატარებულ ღონისძიებებს და მის შედეგებს — მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ამაღლებას, სახელმწიფო, პარტიული და შრომითი დისციპლინის განმტკიცებას.

ეს სასიხარულო ძვრები უმთავრესად სწორედ კადრების აღზრდის, მათი პროფესიული დაოსტატებისა და ორგანიზაციული წრთობისათვის მუდმივმა პარტიულმა ზრუნვამ მოიტანა. სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან მუშაობენ მუდმივმოქმედი სემინარები. გარდა ამისა, ადგილებზე ეწყობა ბრიგადირების, მერგოლურებისა და სხვა მუშაკთა შეკრებები, საწარმოო თათბირები. ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან.

კადრების პროფესიულ დაოსტატებას დიდად უწყობს ხელს ეკონომიკური განათლების სისტემა — ეკონომიკური სწავლების სკოლები, რომლებშიც ასობით სპეციალისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია, აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც ასობით მუშაკმა დაამთავრა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებისა და წარმოების ოსტატთა რაიონული შეკრებები. საშუალო რგოლის კადრებისა და სპეციალისტების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხზე ჩატარდა რაიონული პარტიული აქტივის კრება.

ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მეურნეობათა ხელმძღვანელები სწორად წარმართავენ საკადრო პოლიტიკას, მზრუნველობით ეკიდებიან საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების აღზრდის, საქმეც კარგად მიდის. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. ამ მეურნეობაში მაღალ დონეზე დგას აგრონომიული სამსახური (მთავარი აგრონომი გ. ხომერიკი), საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებად შერჩეული არიან სათანადო ცენზის მქონე კომუნისტები, ამხანაგები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. სწორედ ამას მოაქვს ის თვალსაჩინო მიღწევები, რასაც კოლმეურნეობა წლების განმავლობაში აღწევს. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობამ ბოლო წლებში ორჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია დღის წესრიგში აყენებს მექანიზაციის დონის ამაღლების საკითხს. უკანასკნელ წლებში ჩვენთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით უზრუნველყოფა, ინერგება მცირე მექანიზაციაც, ამან კი ბევრი საზრუნავი გაგვიჩინა, საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება მექანიზატორთა კადრებზე. სისტემატურად ვაწყობთ მექანიზატორთა სწავლებას, წლეულს ასეთი სკოლის შექმნა გათვალისწინებული გვაქვს ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

მახარაძის რაიონში იგრძნობა მეცხოველეობის ერთგვარი აღმავლობა, თანდათან უმჯობესდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და მოვლა-პატრონობა, რასაკვირველია, არ დაგვივიწყებია საკვები ბაზით უზრუნველყოფისათვის ყოველდღიური ზრუნვაც. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ დარგშიც წარმატებები დიდად არის დამოკიდებული აქ მომუშავე პერსონალზე, მათ მონდომებასა და უნარზე. ამიტომ შევარჩიეთ და ფერმებში გავგზავნეთ ამ საქმის მოყვარული, ენთუზიასტი მუშაკები. მაგალითად, რაც მერიის მეცხოველეობის ფერმას სათავეში ზოოტექნიკოსი ი. ყუბუსიძე ჩაუდგა, საზოგადოებრივი მეცხოველეობა აქ აღმავლობით ვითარდება. ყუბუსიძე პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. საქმე შეაყვარა ახალგაზრდებს და გაიყოლია ისინი. მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო: შარშან მათ რძის წარმოების გეგმა 117 პროცენტით შეასრულეს, თვითეული საფურაჯე ძროხიდან საშუალოდ 2250 კილოგრამი რძე მიიღეს, ნაცვლად დაგეგმილი 1900 კილოგრამისა.

ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია ჩვენი რაიონისათვის.

საშუალო რგოლის კადრებისა და სპეციალისტების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის სერიოზულ ღონისძიებებს ატარებენ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები. ყურადღების ღირსია მადაროთა სამმართველოს დირექციისა და პარტიული კომიტეტის მუშაობა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ამ მიზნით ბევრი ღონისძიება ტარდება — ეწყობა ხარისხის დათვალიერების დღეები. სწორედ ამ ღონისძიებების შედეგია, რომ სამმართველოს ერთი სახის პროდუქციამ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი დაიმსახურა, ხოლო მეორე წარდგენილია ამ წოდების მისანიჭებლად.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებამ. ფაბრიკებმა უზრუნველყვეს ნედლეულის შეუფერხებელი მიღება-გადამუშავება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. გადამუშავებულია 55.555 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, გამოშვებულია 14.167 ტონა შავი და მწვანე ბაიხის ჩაი — 68.040 ათასი მანეთის საერთო სასაქონლო პროდუქცია. წარმატებით შესრულდა აგრეთვე ასორტიმენტის გეგმა.

კადრებთან მუშაობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკაში. საწარმო უკვე რამდენიმე წელია მოწინავეთა რიგებში დგას. აქ განსაკუთრებით საგრძნობია საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრების და სპეციალისტების როლი რაციონალიზაციასა და გამომგონებლობის ვანვითარებაში.

ისე ნურავინ გაგვიგებს, თითქოს კადრებთან მუშაობაში ყველაფერი რიგზე გვქონდეს. არა, ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის საქმიანობაზე.

აი მაგალითიც: წლების განმავლობაში ჩამორჩება რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა. იგი ერთადერთია სამრეწველო საწარმოთა შორის, რომელიც წლების განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს გეგმების შესრულებას. მრავალი ღონისძიება გატარდა, ქარხანაში მესამედ შეიცვალა ხელმძღვანელობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მისი დაკომპლექტება სათანადო კადრებით, ცალკეულ საწარმოო უბნებზე დღემდე იგრძნობა სუსტი, არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა, დაბალია შრომის დისციპლინა, პასუხისმგებლობა.

დამაკმაყოფილებელი არ არის სამეურნეო კადრებთან მუშაობა ზოგიერთ კოლმეურნეობაში, ადგილებზე ცალკეულ სამეურნეო ერთეულებს ხელმძღვანელობენ დაბალი კვალიფიკაციის მუშაკები, არასპეციალისტები.

სკკპ XXV ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი, ამ პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი სიტყვა ჩვენი მუშაობის ორიენტირია. იგი ჩვენგან მოითხოვს გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრებთან, ადამიანებთან, ვისზეც დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო წარმატებების ბედი.

პარტიის მახარაძის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული სწორი საკადრო პოლიტიკის უდიდესი მნიშვნელობა, ყველა ღონისძიებას განახორციელებენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების განსახორციელებლად, საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სწავლებისა და მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რასაც ასე მტკიცედ მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის პლენუმებსა და ცალკეულ დადგენილებებში.

**ვ. ბერიძე,**
საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი.

# სწავლობენ იდეოლოგიური კადრები

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიის, მეთოდიკისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი სკოლის მორიგი მეცადინეობა. ეს სკოლა გახსნილია პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის საკითხთა მდივნებისა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისათვის.

სკოლის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ ე. ა. სეხნიაშვილმა.

ლექცია თემაზე „სოციალისტური ცხოვრების წესის ეკონომიკური ასპექტები“ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ე. [illegible]ტინმა. ლექცია თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წაიკითხა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა პ. მ. ჟღენტმა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში მშრომელთა ეკონომიკური აღზრდისათვის პარტიული კომიტეტის მუშაობის გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარეს პარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანმა [illegible] და პარტიის [illegible] კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების [illegible].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. შ. კახნიაშვილმა, პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. ნ. ტეხოვამ, პარტიის აბაშის რაიკომის მდივანმა ა. ბ. კობალავამ და პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივანმა ა. ვ. ავაქიანმა.

მსმენელები იყვნენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. (საქინფორმი).

---

„კომუნისტის“ კრიტიკული წერილის — „უწესრიგობა საავტომობილო გზებზე“ — შემდეგ

# ფაქტები დადასტურდა, მიღებულია ზომები

### რედაქციას აცნობებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

გასული წლის 18 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სტატია „უწესრიგობა საავტომობილო გზებზე“, სადაც გაკრიტიკებული არიან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის და საგზაო ზედამხედველობის მუშაკები, რომლებიც რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე წესრიგის დამყარების ნაცვლად, ხშირად თვითონვე არღვევენ საგზაო მოძრაობის წესებს, გულგრილად ეკიდებიან თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას. სტატიაში ლაპარაკია აგრეთვე საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორების საბრძოლო და სამსახურებრივი მომზადების დაბალი დონის, მოქალაქეების მიმართ მათი უხეში მოპყრობის და უდისციპლინობის შესახებ.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად შევქმენით სპეციალური კომისია, რომელსაც ერთდროულად დაევალა რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის, თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების და ამ სამსახურის სხვა ქვეგანაყოფების საქმიანობის შესწავლა.

კომისიის მუშაობის შედეგები 1977 წლის 10 თებერვალს განიხილა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ. სტატიაში — „უწესრიგობა საავტომობილო გზებზე“ — მოყვანილი ფაქტები სავსებით დადასტურდა. საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორები, რომლებზეც სტატიაში იყო ლაპარაკი, მკაცრად დაისაჯნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის და საგზაო ზედამხედველობის მუშაობაში ხარვეზები ნაკლები იქნებოდა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის, თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების, აგრეთვე შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების სათანადო სამსახურების ხელმძღვანელებს დროულად რომ ეზრუნათ თავიანთი მუშაობის თვისებრივად მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურების ზოგიერთი ხელმძღვანელი, მილიციის საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსები არ აძლევენ სათანადო პოლიტიკურ შეფასებას სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში არსებულ იმ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ამჟამად ვხვდებით და მათი აღმოფხვრა მიმდინარეობს უაღრესად ნელი ტემპით. ზოგიერთი თანამდებობის პირი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ხელქვეითების საქმიანობას, ავლენს შემრიგებლობას მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაშვებული მრავალი დარღვევის მიმართ, ეგუება სოციალისტური კანონიერების ნორმებიდან გადახრებს, რაც მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს.

შინაგან საქმეთა ზოგიერთ განყოფილებასა და სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანაყოფში ჯერ კიდევ დაბალია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ინდივიდუალური მუშაობის დონე. ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები თავიანთ პარტიულ და სამსახურებრივ მოვალეობად არ მიიჩნევენ პირად შემადგენლობაში მაღალი ზნეობრივი, ეთიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ჩამოყალიბებას, არ ახორციელებენ ეფექტიან ღონისძიებებს დისციპლინის დარღვევის დროული და სრული აღკვეთისათვის.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, ჩხოროწყუს და ზოგიერთი სხვა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანაყოფებში განხორციელებული პოლიტიკური ღონისძიებები ზოგადი ხასიათისაა, აქ უფრო მეტად ზრუნავენ ფორმალური ქაღალდების შედგენისათვის, რასაც მსხვერპლად სწირავენ ადამიანებთან ცოცხალ მიზანდასახულ მუშაობას.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დღემდე მთლიანად არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების მხრივ მოქალაქეებისადმი უხეშობის ფაქტები. მილიციის ზოგიერთი მუშაკი იჩენს ყოყოჩობას და უდიერობას, სრულიად უმიზეზოდ აჩერებს ტრანსპორტს, მძღოლებს უყენებს უსაფუძვლო მოთხოვნებს, რაც მოქალაქეთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

კოლეგიაზე მკაცრი შეფასება მიეცა კადრებთან მუშაობის საკითხს. შინაგან საქმეთა ორგანოს და კადრების აპარატების ხელმძღვანელთა ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო ავტოინსპექციის რიგების იმ თანამშრომლებისაგან გაწმენდის აუცილებლობაზე, რომლებიც სხვადასხვა ხრიკებით მიეტმასნენ ამ სამსახურს, დაკარგეს ავტორიტეტი და პერსპექტივა მუშაობაში.

მიღებულია გადაწყვეტილება გადახალისდეს და განმტკიცდეს სახელმწიფო ავტოინსპექციის რიგები მშრომელთა კოლექტივების ღირსეული წარმომადგენლებით, ამაღლდეს შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსების პერსონალური პასუხისმგებლობა ხელქვეითი დანაყოფების, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ავტოინსპექციის და საგზაო ზედამხედველობის თანამშრომელთა მუშაობისათვის, აგრეთვე გაძლიერდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის აპარატების ხელმძღვანელი ბირთვი ახალი შემადგენლობით, რომლებსაც უნარი ექნებათ განახორციელონ ძირეული გარდატეხა მუშაობაში, დაამყარონ წესრიგი საავტომობილო გზებზე და თავიანთ კოლექტივებში.

სამინისტროს ხელმძღვანელობის განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ვითარებამ, რომელიც ქუთაისის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილებაში შეიქმნა და სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა 1977 წლის 14 თებერვლის კოლეგიის სხდომაზე. აქ დამკვიდრებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის ამ სამსახურის მუშაკები, რომლებსაც ყველა საშუალება აქვთ, რათა აქტიურად შეუწყონ ხელი პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სრულ უმოქმედობას და პოლიტიკურ სიბეცეს, ზოგჯერ კი ნეგატიურ მოვლენებთან აშკარა სოლიდარობას იჩენენ. იფარგლებოდნენ რა მანქანების ყიდვა-გაყიდვის უბრალო ფიქსაციით, სინამდვილეში თვალს ხუჭავდნენ მათ გარშემო არსებულ უმსგავსოებაზე, თვითონვე ხელს უწყობდნენ სპეკულანტებს.

კოლეგიაზე მოიყვანეს ფაქტები, რომლებსაც სხდომის მონაწილეებმა მკაცრი შეფასება მისცეს.

მაგალითად, ხარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ცხრა გაზ-24 მოდელის ავტომანქანა გაუფორმეს იმ პირებს, რომლებიც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას არ ეწევიან. 29 შემთხვევაში ავტომანქანა გაზ-24 გაუფორმეს იმ მოქალაქეებს, რომელთა შრომითი საქმიანობის შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონიათ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითება, რომელიც სპეკულაციასთან ბრძოლის მიზნით კრძალავს ინდივიდუალური მფლობელების ავტომანქანების აღრიცხვიდან მოხსნას ერთ წელზე ადრე, ამ კატეგორიულ მითითებას ყოველთვის უგულებელყოფდნენ.

შემოწმების პროცესში გამოვლენილ იქნენ პირები, რომლებიც სისტემატურად ეწევიან ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვას, პირად სარგებლობაში აქვთ ორ-ორი ავტომანქანა, გამოვლენილია აგრეთვე ისეთი ფაქტები, როცა მანქანები ფორმდებოდა ერთი ოჯახის რამდენიმე წევრის მიერ.

ქ. ქუთაისის მცხოვრებმა ი. ლ. პიტნავამ, წინათ სპეკულაციისათვის პასუხისგებაში ნამყოფმა, 1970 წლიდან დღემდე შეიძინა და შემდგომ გაყიდა 6 ავტომანქანა. იმ დროს, როდესაც მას ერიცხებოდა ავტომობილი „ჟიგული“, 1976 წლის ნოემბერში მან მოსკოვის ოლქში შეიძინა გაზ-24 მოდელის ავტომობილი და მხოლოდ 1977 წლის თებერვალში აღრიცხვიდან მოხსნა ზემოთ დასახელებული „ჟიგული“ საკომისიო მაღაზიის მეშვეობით გასაყიდად. საყურადღებოა, რომ ი. ლ. პიტნავა 1974 წლის მაისიდან 1976 წლის იანვრამდე მუშაობდა ქ. ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში ავტობუსის მძღოლად, ხოლო შემდგომში იგი არ ეწეოდა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

მას არ ჩამორჩა მისი ძმა — ხ. ლ. პიტნავა, ქუთაისის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მებეტონე. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მან ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვის 5 „ოპერაცია“ აწარმოვა.

ასეთი მაგალითი ერთეული როდია და ძალზე სამწუხაროა, რომ მილიციის მუშაკებმა ამ საქმეში გამოიჩინეს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დოყლაპიობა. ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა საქართველოს ღირსება და ავტორიტეტი, შეურიგებლად ებრძვიან ნეგატიურ მოვლენებს, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ფსიქოლოგიის გამოვლინებებს.

უნდა ითქვას, რომ ასეთი მანკიერებით მილიციის ზოგიერთი თანამშრომელიც არის შეპყრობილი. ქუთაისის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილების შემოწმებისას გამოვლინდა აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც დაუშვა სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვედანაყოფის საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორმა კ. ა. კინწურაშვილმა (ქვედანაყოფის უფროსი ვ. ს. ბაბუნაშვილი). მან 1974 წლის მაისში ქ. ჩებოქსარში შეიძინა ავტომანქანა „ჟიგული“ და წლინახევრის შემდეგ გაყიდა, შემდეგ ქ. ტალინში შეიძინა ავტომობილი გაზ-24 და სამი თვის შემდეგ ისიც გაყიდა.

მილიციის ავტორიტეტის შემლახავი ქმედობისათვის კ. ა. კინწურაშვილი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილ იქნა.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ, მუშაობაში ამ სერიოზული ჩავარდნებისათვის დაისაჯნენ. ქუთაისის სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილების უფროსი მილიციის მაიორი დ. ხ. კოსტავა მოიხსნა თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

თანამდებობიდან განთავისუფლდნენ ამ ქვეგანყოფილების თანამშრომლები მილიციის კაპიტანი ზ. პ. რუხაძე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. შ. ლაკვეხელიანი, აგრეთვე სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვედანაყოფის მეთაური მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. ს. ბაბუნაშვილი. დისციპლინური სასჯელი დაედოთ რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სხვა მუშაკებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი მილიციის პოდპოლკოვნიკი ლ. გ. აივაზოვი, რომელსაც თავის მუშაკებთან ერთად კონტროლი უნდა გაეწია სარაიონთაშორისო სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვეგანყოფილების მუშაობისათვის, თანამდებობიდან განთავისუფლდა და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოდან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ღონისძიებები, რომელთა მიზანია სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმიანობის ძირეული გაუმჯობესება, ამ სამსახურის მუშაკების პროფესიული კულტურის ამაღლება, მოქალაქეებისადმი მათი ყურადღებიანი და თავაზიანი მოპყრობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ავტოინსპექციას ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი და პასუხსაგები საკითხი აქვს გადასაწყვეტი. ამ სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან მთელი ძალ-ღონე, ცოდნა და უნარი მოახმარონ იმას, რომ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, სრული წესრიგი დაამყარონ საავტომობილო გზებზე, გვიჩვენონ წესიერებისა და დისციპლინის პირადი მაგალითი და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

**კ. კეთილაძე,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ოფიციალური განყოფილება

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1976 წლის შედეგები.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით ხელმძღვანელობენ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. გააქტიურდა დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა, ამაღლდა საბ...

...ტიურად არ ავლენენ და აღმოფხვრიან საჩივრების მიზეზებს. ზოგიერთი ხელმძღვანელი და თანამდებობის პირი ღრმად ვერ სწვდება განცხადებებისა და საჩივრების არსს, არღვევს მათი განხილვისათვის დადგენილ ვადებს. ყოველივე ეს აიძულებს მშრომელებს განმეორებით შეიტანონ განცხადებანი, მიმართონ ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ისეთი საკითხების გამო, რომლებიც ადგილებზე შეიძლება გადაწყდეს.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, სამინისტრო, უწყება, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანო უპასუხისმგებლოდ ეკიდება გასაკონტროლებელ და პრეზიდიუმის მიერ გაგზავნილ განცხადებებსა და საჩივრებს, ზოგჯერ დაგვიანებით ...

...წლებში მიიღო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, გარკვეულ ...ადლებას უთმობდნენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის ...გომ სრულყოფას. ამასთანავე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბევრ სამინისტროში, უწყებაში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი ბიუროკრატიული მიდგომის ფაქტები, საკმაოდ აქ...

...მარტებითი მუშაობა.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს ზედამხედველობა იმისადმი, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

**პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება 1976 წელს რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შედეგების შესახებ და მთელი რიგი სხვა საკითხები.**

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი. (საქინფორმი).

140.000 ტონა ხორცისათვის 1977 წელს

## საკარმიდამო მეცხოველეობა — ხორცის წარმოების რეზერვი

...ობის რაიონის მშრომელები ...გაზრდილ პირუტყვს ხალი... ...აბარებენ სახელმწიფოს და ...საყრელ ანაზღაურებასაც ...ბენ. ახალსოფლელმა კოლმე...ნემ **იონა გოგენიამ** 610 კილოგრამი ღორის ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს, ქარიატელმა კოლმეურნემ **კლარა ცხვიტავამ** — 621 კილოგრამი, საჯიჯაოელმა **შალვა ნანეიშვილმა** — 470 კილოგრამი, ნოჯიხეველმა **ოთარ გერგაიამ** — 298 კილოგრამი.

ხობის რაიონის სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობათა გამგეობები ეხმარებიან მშრომელებს პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაში (საქ. კორ.).

მკითხველის სიგნალი

## როდის გვექნება სასმელი წყალი?

...

ვ. ტოხტამიშვილი.

ფაქტები, პრობლემები

# მსოფლიოს ამბები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

სოციალიზმის ქვეყნებში

## ოქტომბრის საიუბილეოდ

ჩეხოსლოვაკია

### ახალი შრომითი საჩუქრები

ბრატისლავა. სლოვაკიის მშრომელებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ეს მასობრივი მოძრაობა, რომელიც გაიმართა ლოზუნგით „დიდ ოქტომბერს —ახალი შრომითი საჩუქრები“, — დიდმნიშვნელოვანი სტიმულია მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

„სამოცი დამკვრელური ცვლა“, „ყოველი დღე — რეკორდული, ხარისხიანი და ეფექტიანი“, „საბჭოთა კავშირის შეკვეთები — ვადამდე“ ასეთი დევიზით შრომობენ ახლა რესპუბლიკის საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, შახტებში და მშენებლობებზე.

ბულგარეთი

### სახალხური ტალანტის ზეიმი

სოფია. სახალხო ბულგარეთის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. ამ თარიღს მიეძღვნება სსრ კავშირის ხალხთა ცეკვების ეროვნული კონკურსი, საბჭოთა სიმღერის ფესტივალი „ალიოშა“, რომელიც პლოვდივში გაიმართება და პოლიტიკური სიმღერის ფესტივალი „ალისფერი ყაყაჩო“. გარდა ამისა მოეწყობა თვითმოქმედი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენები.

უნგრეთი

### სიტყვას არ ტეხენ

ბუდაპეშტი. ღირსეულად ასრულებენ პირობას უნგრელი მეშახტეები, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი ჩეპელის მეტალურგებისა და მანქანათმშენებლების თაოსნობას, რომ ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი.

ამ დღეებში ვიშონტში მ. ტორეზის სახელობის ქვანახშირის კარიერის მეშახტეთა კოლექტივმა უპატაკა წლის დამდეგიდან მემილიონე ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოღება.

ფოტოინფორმაცია

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. „სამყარო საბჭოთა ბავშვების თვალით“ — ასე ეწოდება ნორჩი მხატვრების ნამუშევრების გამოფენას, რომელიც გახსნილია ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის ერთ-ერთ დარბაზში.

სურათზე: მნახველები ათვალიერებენ გამოფენის ექსპონატებს.

საკდესის ფოტო.



საკდესი

## მოკლე ცნობები

წარსდგებიან სასამართლოს წინაშე

● მადრიდი. ესპანეთში იძიებენ კომპანია „ლოკჰიდის“ საქმეს. როგორც გაზეთი „დიარიო-16“ იტყობინება, ამ სკანდალში ნარეულ პირებს შორის იხსენიებენ გენერალ ლუის როდრიგესს და პოლკოვნიკ კარლოს სეგადეს, რომლე...

...

კალკა პროვოკაციები

...

სისხლიანი ამბები სალვადორში

...

# ჯ. კარტერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. (საკდესი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ზოგადი ფორმით მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეთანხმების მიღწევას სტრატეგიული ატომური შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. ამავე დროს იგი წინანდებურად ნეგატიურ პოზიციას ადგა იმ მხრივ, რომ ამ ...

...წილის დატოვება. „თავდაცვის ხაზები თვალსაწიერ მომავალში, — თქვა პრეზიდენტმა, — შეიძლება დაემთხვეს კანონიერ საზღვრებს, და შეიძლება არც დაემთხვეს. რაც შეეხება ისრაელის თავდაცვისუნარიანობას, იგი შეიძლება გასცდეს მუდმივი და აღიარებული საზღვრების ფარგლებს“. დასავლეთის პრესის ზო...

...სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, აიძულა კარტერი ეღიარებინა, რომ ხშირად თვითონ შეერთებული შტატები არღვევდა მოქალაქეობრივ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, ჰელსინკის შეთანხმებით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს. კარტერმა ამასთანავე დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების წარ...

...

...თქვა მან, 24 წლამდე ახალგაზრდები არიან.

ახალგაზრდობის უმუშევრობის შემცირების მიზნით, განაცხადა პრეზიდენტმა, შექმნილია ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის ახალგაზრდული კორპუსი იმ ორგანიზაციის ანალოგიურად, რომელიც 30-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში არსებობდა.

## მოლაპარაკება რთული იქნება

**ვაშინგტონი. (საკდესის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჯ. კალაგენი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს ჯ. კარტერთან და ამერიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან.** თუმცა მოლაპარაკების დღის წესრიგი ოფიციალურად არ არის გამოცხადებული, მაგრამ მიმომხილველები წინასწარმეტყველებენ, რომ „რთული მოლაპარაკება“ შეეხება მრავალ ორმხრივ პრობლემასა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს. ეს იმით აიხსნება, რომ სერიოზული წინააღმდეგობანია როგორც თვით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, ისე საერთოდ დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

# დასაბუთებული შეშფოთება

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

...

კაცობრიობის გადარჩენის საკითხი, იმედი მაქვს, რომ დაწყებული დაძაბულობის შენელება გაგრძელდება, წერს იგი.

...ბმა გააჩაღეს ბელგრადის შეხვედრისათვის მზადების მსვლელობაში. მაგრამ უკვე ახლა ნათელია, რომ ამ კამპანიას ჩიხისაკენ მივ...

კარიკატურისტის კომენტარი

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს სტრასბურგის სასამართლო პროცესი ოლსტერში ინგლისის ხელისუფალთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ წარმოადგინოს უბრალო „დავად“ ორ სახელმწიფოს შორის. ამავე დროს იგი არ იშურებს თავის ფურცლებს საბჭოთა კავშირის შესახებ ათასგვარი მონაჭორისათვის (გაზეთებიდან).




როცა შუბი ხალთაში არ იმალება.

გ. ლომიძის ნახატი.

კომენტარი

## წამოსცდა

...ჩილეს მიმართ შევა XX საუკუნის ... საერთაშორისო ... ისტორიაში, თანაც, შევა ვაშინგტონისათვის არცთუ მთლად სახარბიელოდ. მისი აღწერა ნამდვილად იქნება ისტორიის იმ კარში, სადაც მოყვანილია სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის, ფარისევლური ფრაზებითა და განცხადებებით შენიღბული საერთაშორისო სამართლის დარღვევების მაგალითები.

კანონიერი, ხალხის მიერ არჩეული სალვადორ ალიენდეს მთავრობის დამხობა და ჩილეში პინოჩეტის დიქტატურის დამყა...

...

...სონის ცდას, რომ საკითხი სწორად დაეყენებინა და პატიოსნად ეღიარებინა უცილობელი ფაქტები. კაცმა არ იცის, რით დამთავრდება პირადად მისთვის ეს „საძრახისი აღიარება“. არც ის არის ცნობილი, რა ახალ მანევრებს მიმართავს ვაშინგტონი, რათა შეალამაზოს თავისი პოლიტიკა ჩილეს მიმართ. მაგრამ ეს მანევრები ამაო იქნება. კაცმა აღიარა, რომ წამოსცდა, და ახლა გვიანღაა თითზე კბენანი.

ვ. გონჩაროვი,

საკდესის პოლიტიკური მიმომხილველი.

ეს საინტერესოა

## დელტაპლანერით კილიმანჯაროდან

28 წლის პარიზელი ალენ გიიუ აპირებს დელტაპლანერით დაეშვას აფრიკის უმაღლესი მწვერვალიდან კილიმანჯაროდან (6000 მეტრი). წინათ ორი დელტაპლანერისტის ცდა მარცხით დამთავრებულა.

მიუხედავად ამისა, ალენ გიიუ აპირებს განახორციელოს თავისი განზრახვა. მან დახურა თავისი დელტაპლანერისტების სკოლა და ფაბრიკა, სადაც წელიწადში 200 დელტაპლანერს უშვებდა და მთელი დაგროვილი კაპიტალი დააბანდა ექსპედიციის აღჭურვასა და მომზადებაში.

— მე სულ უკაპიკოდ დავრჩი, — განუცხადა მან ჟურნალისტებს ...

# ლიტერატურა და ხელოვნება

## „მეგობრობის თეატრის" ორბიტაზე

**საქართველოს** თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის" მოწვევით დღეს, 12 მარტს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გასტროლებს იწყებს მოსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნ. გოგოლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. საგასტროლო აფიშაზეა მხოლოდ ერთი სპექტაკლი „როკ-ენ-როლი გათენებისას", — ამერიკელი სტუდენტების ცხოვრების სცენები. თბილისელ მაყურებელს ელის აგრეთვე საინტერესო შეხვედრა თეატრისა და კინოს გამოჩენილ ოსტატთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტთან, სოციალისტური შრომის გმირთან, სახელმწიფო პრემიების ლაურეატ **ბორის ჩირკოვთან.** 18 მარტს გაიმართება მსახიობის შემოქმედებითი საღამო, სადაც მისი მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება სპექტაკლების სცენები და კინოფილმების ნაწყვეტები.

გუშინ მოსკოვის თეატრის მსახიობთა ერთ ჯგუფს თბილისის ვაგზალზე გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები.

**— თავს ბედნიერად ვგრძნობ, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ბ. ჩირკოვმა, — რომ დიდი თეატრალური კულტურის ქალაქში — თბილისში ჩემი შემოქმედებითი საღამო გაიმართება. ქართველ მაყურებლებთან შეხვედრა მუდამ სასიამოვნოა.**

**შემოქმედებითს საღამოზე წარმოგიდგენთ სამი სპექტაკლის ნაწყვეტებს. ეს სპექტაკლებია: ა. ოსტროვსკის „უკანასკნელი მსხვერპლი", ლ. მოისეევის „მეწამული ტყე" და ა. ტოლსტოის „დედოფლის შეთქმულება". სამივე სპექტაკლის დადგმა თეატრის მთავარ რეჟისორს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ბ. გოლუბოვსკის ეკუთვნის.**



**სურათზე:** მარჯვნიდან — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ჩირკოვი, თეატრის დირექტორი მ. ჩეპელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, რსფსრ დამსახურებული არტისტები ლ. კულაგინი და ლ. გენიკა, რსფსრ სახალხო არტისტი ი. ლევიცკი თბილისის რკინიგზის ვაგზალში.

**ვლ. გინზბურგის ფოტო.**

## პროფესიული დაოსტატების გზით

### აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე

**აფხაზეთის** კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აფხაზ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. პლენუმზე სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, სახელმწიფო კაპელამ და აფხაზეთის კამერულმა ორკესტრმა შეასრულეს სიმფონიური და კანტატურ-კამერული ნაწარმოებები.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანს **ნ. მამისაშვილს** ემბნა პლენუმის — აფხაზ კომპოზიტორთა შემოქმედებითი დათვალიერების შედეგებზე.

**— აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის პლენუმმა, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელოვან იუბილეს მიეძღვნა, მსმენელებს გააცნო ახალი ნაწარმოებები, ზოგიერთი მათგანი პირველად შესრულდა. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აღზრდილია.**

**კარგი შთაბეჭდილება დატოვა აფხაზეთის კაპელამ. მან შეასრულა კომპოზიტორ ა. ჩიჩბას ნაწარმოები „უარადა" ხალხურ მელოდიებზე. ეს ნაწარმოები ნებისმიერი კაპელის რეპერტუარს დაამშვენებდა. აღინიშნა კომპოზიტორების კ. ჩენგელიასა და რ. გუმბას ნაწარმოებების მაღალი პროფესიული დონე. ამ პლენუმზე შესრულდა კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალი ჟანრის დაბადებას რესპუბლიკაში. უნდა აღინიშნოს ლ. ჩეპელიანსკის, ვ. ჭკადუასა და კ. ჩენგელიას ნაწარმოებები. კომპოზიტორი ლ. ჩეპელიანსკი კიევის კონსერვატორიის კურსდამთავრებულია, მან თვითონ შეასრულა საკუთარი საფორტეპიანო სონატა.**

**ამ პლენუმზე აფხაზეთის კომპოზიტორებმა ცხადყვეს პროფესიული ოსტატობა, გამოავლინეს, რომ დაუფლებული არიან მრავალფეროვან ფორმებს, კარგად იყენებენ ხალხური მუსიკის ტრადიციებს.**

**სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილის „სიმფონია-პოემამ", ტ. აჯოპუას კანტატამ.**

**პლენუმის მშვენება იყო თვითმოქმედი ანსამბლების „ერცახუს" და „რიწის" კონცერტები, რომლებმაც შეასრულეს აფხაზეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებები ხალხურ მელოდიებზე.**

შესრულებულ ნაწარმოებთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ს. კეცბამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ბალანჩივაძემ, აფხაზეთის კულტურის მინისტრმა ა. არღუნმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. მამისაშვილმა, აფხაზმა კომპოზიტორებმა და მუსიკის მცოდნეებმა.

## დიდი ინტერესი

### პორტუგალიელები ეცნობიან ქართველი მხატვრის შემოქმედებას

ლისაბონი. (საკდესი). ლისაბონის მცხოვრებთა დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი ქართველი მხატვრის, ლენინური პრემიის ლაურეატის ზ. კ. წერეთლის ნამუშევართა რეპროდუქციების გამოფენამ, რომელიც გაიმართა „პორტუგალია-სსრ კავშირის" მეგობრობის საზოგადოების შენობაში. დამთვალიერებელნი დიდი ინტერესით ეცნობიან მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი წარმომადგენლის შემოქმედებას. გაზეთი „ავანტე" მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი მხატვრის ნამუშევრებს, და წერს, რომ ზ. წერეთლის ნაწარმოებებს ახასიათებს ექსპრესია და დინამიზმი, ფერთა მდიდარი პალიტრა.

## ნახავენ ამერიკელები

### ქართული ფილმების ჩვენება ამერიკის ქალაქებში

**ამერიკის** შეერთებული შტატების უდიდესი ქალაქების მაყურებლებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ საუკეთესო ქართულ კინოფილმებს. სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჯელესსა და სხვა ქალაქებში 15-26 მარტს მოეწყობა კინოსტუდია „ქართული ფილმის" მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეტროსპექტული ჩვენება.

30-ზე მეტი კინოფილმი მაყურებელს გააცნობს საბჭოთა საქართველოს წარსულსა და აწმყოს, რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს.

იმ ფილმებს შორის, რომლებსაც ნახავენ ამერიკელები, არის მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვებული კინოსურათები — „ჯარისკაცის მამა", „ვედრება", „ფიროსმანი", „ძველი ვერის უბნის მელოდიები", მოკლემეტრაჟიანი ფილმები — „სერენადა", „ქორწილი", „ფეხბურთი უბურთოდ", „ქვევრი" და სხვები. საჩვენებელი ფილმების პროგრამაშია აგრეთვე პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც გადაიღო ეროვნული კინემატოგრაფის უხუცესმა ვ. ამაშუკელმა.

შარშან კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოებებს გაეცნენ ლონდონელები, მანამდე ქართულ ფილმებს წარმატებით უჩვენებდნენ დასავლეთ ბერლინსა და საფრანგეთის ქალაქ ავინიონში.

ქართული ფილმების მომავალ ჩვენებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი რ. ჩხეიძე და რეჟისორი გ. შენგელაია, რომლის ფილმმა „ფიროსმანმა" ორი წლის წინათ მიიღო ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალის უმაღლესი პრიზი „ოქროს ჰიუგო". (საქინფორმი).

## სანამ გვიან არ არის

**ალბათ** ვერც დავასახელებთ სხვა მწვავე ინფექციურ დაავადებას, რომელიც უფრო საშიში იყოს ადამიანისათვის, ვიდრე ცოფია. იგი ყოველთვის სიკვდილით მთავრდება!

ცოფი, რომელსაც აგრეთვე ჰიდროფობიასაც (წყლის შიში) უწოდებენ, ზოონოზური ბუნების ვირუსული დაავადებაა. ბუნებაში ამ ვირუსის რეზერვუარებია მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, ძაღლი, კატა, იშვიათად — მობალახე ცხოველები და ფრინველები. ცოფის ეპიდემიოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძაღლებს, რადგან ყველაზე ხშირად ადამიანები სწორედ ცოფიანი ძაღლების კბენისა და დალოკვა-დადორბლვის შედეგად ავადდებიან.

ცოფის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეიჭრება ხოლმე კანზე ან ლორწოვან გარსზე უმნიშვნელო ჭრილობისა და განაკაწრის მეშვეობით. ამ ვირუსს ნერვული ქსოვილებისადმი შერჩევითი ტროპიზმი ახასიათებს. დადგენილია, რომ ნაკბენი ადგილი რამდენადაც ახლოა თავის ტვინთან, იმდენად მოკლეა ავადმყოფობის ინკუბაციური პერიოდი (დრო ინფექციის შეჭრიდან, დაავადების კლინიკურ გამოვლინებამდე). ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ინფიცირებული ცხოველის ნერწყვში ცოფის ვირუსი კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 11-13 დღით ადრე იწყებს გამოყოფას. ამას კი დაკბენილები და მათი ახლობლები ხშირად ივიწყებენ, რაც სამწუხარო შედეგით მთავრდება.

ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს ცხოველებში ცოფის განვითარების ნიშნები, რათა დროულად აარიდოს მათ თავი და სათანადო ზომები იხმაროს ასეთი ცხოველის დასაჭერად ან საჭიროების შემთხვევაში — გასანადგურებლად.

ცხოველებში არჩევენ დაავადების ორ ფორმას: მძვინვარეს და წყნარს, ანუ პარალიზურს, ინკუბაციური პერიოდი 15-20 დღეა. დაავადების ძირითადი ნიშნებია: ცხოველს ეცვლება ყოფაქცევა, ხშირად ყმუის, არ ჭამს, განკერძოებულია, ხდება ბრაზიანი — აგრესიული, ყლაპავს სხვადასხვა არასაკვებ ნივთებს (ჩვარი, ხის და ლითონის საგნები და სხვ.), ეწყება ძლიერი ნერწყვის დენა, უძლიერდება წყურვილი, ეწყება წყლის შიში, ტოვებს სახლს და უმიზნოდ გარბის. შემდეგ იწყება პარალიზური სტადია, ვითარდება საყლაპავი კუნთების, სუნთქვის ორგანოების, კიდურების დამბლები და ჩვეულებრივ ერთ-ორ კვირაში (გააჩნია ფორმას) ცხოველი კვდება.

ადამიანის ცოფის ინკუბაციური პერიოდი, როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულია ნაკბენ ადგილზე და კიდევ სხვა ფაქტორებზე, მაგრამ საშუალოდ 30-დან 50 დღეა. იშვიათად იგი შეიძლება შემცირდეს ორ-სამ კვირამდე, ან, პირიქით, ერთ წლამდე გაგრძელდეს.

სამწუხაროდ, ცოფის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალება ჯერჯერობით არ არსებობს — ამიტომ მკურნალობას ძირითადად წარმართავენ სიმპტომური საშუალებებით, რათა ავადმყოფს შეუმსუბუქონ ფსიქიკურ-მოტორული აღგზნება, ტკივილები და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ცოფის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალება ჯერჯერობით მეცნიერებას არ გააჩნია, მაგრამ 90 წელზე მეტი ხანია, რაც ლ. პასტერმა შეიმუშავა და დანერგა მძლავრი პროფილაქტიკური საშუალება — ანტირაბიული ვაქცინაცია, რომელმაც კაცობრიობა იხსნა ამ საშიში დაავადებისაგან.

## ფრთხილად: ცოფი საბედისწეროა!

ვაქცინაცია ანუ აცრები, უნდა ჩაუტარდეს ყველა იმ პირს, რომელიც ცოფიანმა ან საეჭვო ცხოველმა დაკბინა, ან იმ ცხოველმა, რომელიც დაკბენის შემდეგ მოკვდა 14 დღის განმავლობაში, უნდა აიცრას იმანაც, ვისაც ცხოველმა უკბინა, და ცხოველის შემდგომი მდგომარეობა კი უცნობია. ამიტომ ყველამ დაკბენის პირველსავე დღეს აუცილებლად უნდა მიმართოს პოლიკლინიკაში საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ სამედიცინო პერსონალს. თუ დაკბენილა ბავშვია ან ისეთი პიროვნება, რომელსაც უნარი არ შესწევს შეიგნოს მოსალოდნელი საშიშროება ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებს, ახლობლებს. ექიმის მიერ დანიშნული ვაქცინაციის და სათანადო რეჟიმის დაცვა აუცილებელია, ხოლო მცირედი დარღვევა შეიძლება საბედისწეროც კი გახდეს დაკბენილისათვის. სამწუხაროდ, ამის ფაქტები გვქონდა როგორც შარშან, ისე წლეულსაც. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მონადირეებს, მტაცებელ ცხოველებზე ნადირობის, ხოლო განსაკუთრებით — ნადავლის გატყავებისას.

ამჟამად რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში და ქალაქში (ქუთაისში, თერჯოლაში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ვანში, მაიაკოვსკში და სხვაგან) შეინიშნება ცოფის ეპიზოოტია, ე. ი. ცხოველებში გავრცელება, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. ამას ისიც ემატება, რომ ყოველწლიურად რესპუბლიკაში აღირიცხება შინაური ცხოველების მიერ ადამიანის დაკბენის 10 ათასამდე შემთხვევა.

მაგრამ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, მილიციის, ვეტერინარული და სანიტარული ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას მაინც არ აქცევენ უპატრონო და მოხეტიალე ძაღლების დაჭერა-განადგურებას.

სამწუხაროდ, აქამდე რესპუბლიკაში არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი შინაური ცხოველების შენახვის თაობაზე. ამიტომ არის, რომ მოსახლეობის კუთვნილი ძაღლებისა და კატების თითქმის ნახევარი აღრიცხული არ არის და სავალდებულო აცრა არ გაუვლია.

უფრო მეტიც, თითქმის არსად არ არის შექმნილი სპეციალიზებული რაზმები ან ჯგუფები უპატრონო, მოხეტიალე და ცოფზე საეჭვო ცხოველთა საჭერად.

ამ მხრივ ზოგიერთი მოქალაქეც ცოდავს — სათანადო პირობების დაუცველად საცხოვრებელ ბინებში, ეზოებში საერთო სარგებლობის სათავსოებში ინახავენ და ამრავლებენ ძაღლებსა და კატებს, უშვებენ უპატრონოდ ქუჩებში და ეზოებში. პირბადეზე და ღვედზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ შემთხვევაში, ცოფზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ცხოველების მიერ შექმნილი ანტისანიტარია და ხმაური, უბრალოდ, აუტანელი ხდება მეზობლებისათვის. ამ ცხოველების პატრონებს ავიწყდებათ, რომ ძაღლები და კატები ცოფის გარდა სხვა საშიშ დაავადებათა გადამტანები და გამავრცელებელი არიან. დროა ამ საქმეში სათანადო წესრიგი დამყარდეს, რასაც თვით მოსახლეობამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი.

**მ. პაპისოვი,**

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი.**

## ფეხბურთი

## ნაკრები ემზადება...

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელსაც სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. სიმონიანი, ახალი სეზონისათვის მზადებას შეუდგა...

წლეულს ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის საბერძნეთისა და უნგრეთის გუნდებთან (აპრილ-მაისი). ამ სეზონში დაგეგმილია ამხანაგური მატჩები გფრ-ის, გდრ-ის, პოლონეთის გუნდებთან, რამდენიმე დღის შემდეგ კი სსრ კავშირის ნაკრები საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრება ტუნისში, იუგოსლავიასა და ბელგიაში.

ამჟამად ნაკრები ხუთდღიან შეკრებას გადის სოხუმის მახლობლად, ეშერას საწვრთნელ ბაზაზე.. სხვებთან ერთად მის შემადგენლობაში არიან თბილისელი დინამოელები — თავდამსხმელი ყიფიანი და მცველი ხიზანიშვილი.

15 მარტს სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ვერ ვიხილავთ კიეველ ფეხბურთელებს (ისინი მიუნხენის „ბავარიასთან" მატჩისათვის ემზადებიან) ჩვენს ქალაქში ამხანაგურ შეხვედრას გამართავს თბილისის „დინამოსთან".

## უკანასკნელი საწვრთნელი...

**თბილისის** „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა საგაზაფხულო სასწავლო-საწვრთნელი შეკრება დაამთავრა შავი ზღვის სანაპიროზე, ლესელიძის პანსიონატ „სპორტის" ბაზაზე.

დინამოელებმა აქ უკანასკნელი მატჩი გამართეს ალმა-ათის „კაირატთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი თამაშის მიწურულში გაიტანა გუცაევმა.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ქორიძე, ჩილაია, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, ებანოიძე, გუცაევი, ჩელებაძე.

**„კომუნისტის" საკ. კორ. ტელეფონით.**

„მესხის სკოლა" — ასე უწოდებენ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულ სკოლა „ავაზას", რომლის ფეხბურთელთა ვარჯიში გამოსახულია ა. სააკოვის ფოტოზე.





## ჭადრაკი

## პრეტენდენტთა მატჩებზე

**რეიკიავიკში** გაიმართა სპასკი-ჰორტის მატჩის მეექვსე პარტია. თეთრებით თამაშობდა ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა და სპასკი კვლავ წინ არის — 3,5:2,5.

როტერდამში ლარსენ-პორტიშის მეხუთე პარტიაში გადადების წინ დანიელ დიდოსტატს მცირე უპირატესობა ჰქონდა. პარტია კვლავ გადაიდო, ამჯერად თანაბარ პოზიციაში. პორტიში წინ არის — 2,5:1,5.

ჩოკოში, სადაც პეტროსიან-კორჩნოის მატჩში ანგარიში თანაბარია — 2:2, მორიგი, მეხუთე პარტია მხოლოდ 14 მარტს გაიმართება, რადგან აქ ახლა ავტომრბოლელთა შეჯიბრება მიმდინარეობს.

## 12 დიდოსტატი!

**ბად-ლაუტერბერგის** (გფრ) საერთაშორისო ტურნირში, სადაც 4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით ლიდერობს მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი, 16 მონაწილეა.

აი მონაწილეთა სიაც: მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი, დიდოსტატები ფურმანი (საბჭოთა კავშირი), ჰიუბნერი (გფრ), ოლაფსონი (ისლანდია), ანდერსონი (შვეცია), გლიგორიჩი (იუგოსლავია), მაილსი (ინგლისი), ჩომი (უნგრეთი), ტორე (ფილიპინები), ლიბერზონი (ისრაელი), ტიმანი, სოსონკო (ორივე — ჰოლანდია), საერთაშორისო ოსტატები კინი (ინგლისი), გერუზელი (გფრ), ოსტატები ვოკენფუსი და ჰერმანი (ორივე — გფრ).

## ორიოდე სიტყვით

ფეხბურთი. მეორე ამხანაგური მატჩი გამართეს კიევის დინამოელებმა ჩეხოსლოვაკიაში. ანგარიშით 0:1 (0:1) [illegible] 106:93 (55:42) [illegible] 87:85 (47:44) [illegible] 99:98 (53:61) [illegible] მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი თბილისელი სპორტსმენები იყვნენ.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## პირველი პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 14 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მხატვრული ფილმი — „მურიასგება". I სერია (ქართულ ენაზე),
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია,
17.50 — „ცეროდენას ეკრანი",
18.20 — განცხადებები,
18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. ფერადი გამოსახულებით,
18.45 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა,
19.05 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა,
19.50 — მულტიპლიკაციური ფილმი,
20.00 — „ეჯიბრებიან კრასნოიარსკის მხარის მშრომელები". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.50 — ბ. შინკუბა. „როგორც გვნებოთ". I მოქმედება. სოხუმის თეატრის აფხაზური დასის სპექტაკლი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — ბ. შინკუბა. „როგორც გვნებოთ". II მოქმედება.
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა,
22.35 — კონცერტი,

### 17 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „აქატის იურთული",
11.10 — დოკუმენტური ფილმი,
11.45 — უკრაინის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ოსუდან ჯვასალია (ვიოლინო). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა,
17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „საუკუნის თანატოლი",
18.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
18.30 — განცხადებები,
18.35 — მოსწავლეთათვის „საცეკვაო რიტმები" განმეორებით. ფერადი გამოსახულებით,
19.20 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი",
19.45 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.45 — უფროსებისათვის — [illegible]ლი პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.50 — [illegible] „[illegible] საუნჯე" — განმეორებით.
16.15 — [illegible] საბჭოთა [illegible]ისათვის,
17.00 — მოსწავლეთათვის „ჯანმრთელობა და ხუთიანი",
17.45 — უფროსკლასელთათვის — „რა უნდა ვიცოდეთ თეატრის შესახებ" — განმეორებით. ფერადი გამოსახულებით,
18.35 — „საზოგადოებრივი აზრი და მართლმსაჯულება",
19.10 — კონცერტი,
19.30 — „მსოფლიოს ნამარხი ქალაქი-მუზეუმები". ფერადი გამოსახულებით,
20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი — „გამოთვლილი ბედნიერება",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ესტრადა და თანამედროვეობა".

### 20 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „მაღვიძარა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა",
11.45 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები. „ბიჭი და სახედარი"; „ჩუკი და გეკი",
13.00 — „მუსიკალური კიოსკი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — „კინოაფიშა",
14.00 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე),
14.20 — „საჭადრაკო სკოლა",
14.40 — „კინოს მოყვარულთათვის",
15.50 — ციკლიდან „ადამიანი საზრუნავი უპირველესი" — დოკუმენტური ფილმები „წლები სიცოცხლისათვის და არა სიცოცხლე წლებისათვის"; „და მოხვალ ოქროს შემოდგომა" (ქართულ ენაზე),
16.20 — „დღეს საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღეა". სტუდიაში რსფსრ-ს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ი. გ. დუდენკოვი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.35 — სატელევიზიო პროგრამა ბავშვებისათვის „კოცონი",
17.15 — კონცერტი,
17.55 — „საერთაშორისო პანორამა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.30 — „ოქროპირი" — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი,
19.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
19.50 — დოკუმენტური ფილმი „უკანასკნელი ქარავანი",
20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან. (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის),
21.40 — უფროსებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის — მოლდავეთის სსრ. ფერადი გამოსახულებით.

## ტელევიზიის ჟურნალი თბილისი

### 15 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მოსწავლეთათვის — გეომეტრია,
11.00 — მხატვრული ფილმი „მურიასგება". II სერია (ქართულ ენაზე),
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა,
17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიოვანის ხავთისი",
18.05 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
18.35 — განცხადებები,
18.40 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის „სოფელი, სადაც აჯანყების დროშა აფრიალდა",
19.00 — ამხანაგური მატჩი ფეხბურთში „დინამო" (თბილისი) — სსრ კავშირის ნაკრები. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან,
20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.15 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „შემოდგომის თბილი მზე". ფერადი გამოსახულებით.

### 16 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი",
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა,
17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მომქირნეობის ალგებრა",
18.00 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
18.30 — განცხადებები,
18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი,
19.05 — „სამთომექანიკის ინსტიტუტში",
19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. „დინამო" (კიევი) — „ბავარია" (მიუნხენი). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა კიევიდან),
მულტიპლიკაციური ფილმი,
21.10 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „კინოლექტორიუმი".

### 18 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „ეკრანზეა კინოკომედია" — მხატვრული ფილმი „თქმულება ციმბირის მიწაზე". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია,
17.45 — განცხადებები,
17.50 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
18.20 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით" (ფერადი გამოსახულებით),
19.30 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის,
20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია" — „1936 წელი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — კონცერტი.

### 19 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დოლეჯხოვის მინდორი",
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „შევისწავლოთ ქართული ენა",
12.45 — დოკუმენტური ფილმი — „პორტუგალიის განთიადი". (ქართულ ენაზე),
13.36 — მხატვრული ფილმი — „ბაბუა, კილიანი, და მე"; მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „უსაქმურობა",
15.20 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარუ-

## ტელევიზია

### 12 მარტი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — იუმატინოს გამოფენა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 12.15 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობის წინა ფლანგზე", 13.45 — დოკუმენტური ფილმი, 14.00 — შეხვედრა ტელემაყურებლებთან — განმეორებით, 15.00 — კონცერტი, 15.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — განმეორებით. ფერადი გამოსახულებით, 16.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მწვანე ტალღა", 17.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — „ცხოველთა სამყაროში". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის — „ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში", 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რიტმი", 19.45 — „მეცხრე სტუდია". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — მღერის ზურაბ სოტკილავა. ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, 22.35 — მხატვრული ფილმი „სხივდანთებული ბედნიერება" (II სერია).

**მეორე პროგრამით**

17.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დათვი", 18.20 — კონცერტი, 19.00 — მხატვრული ფილმი „ანა და კომანდორი". ფერადი გამოსახულებით, 20.30 — დოკუმენტური ფილმი „ერთი დღე მშენებლობაზე".

## თეატრი

### 13 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ამი ძაღლია (პრემიერა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ყარამანს ქალი მოჰყავს; მინიატურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ელენე ბაგრატის ასული ვირსალაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 15 III 4 ს. ინსტიტუტის შენობიდან (ლენინის ქ. № 5).

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ელენე ბაგრატის ასული ვირსალაძე.**

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, კომკავშირული ცხოვრების — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02071

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14